ო ქ მ ი N13

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 17 დეკემბერი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 10

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. ვლადიმერ ქანთარია
6. დოდო გაბუნია
7. ბექა მამაცაშვილი
8. ია ჯიშკარიანი
9. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 16 დეკემბრის N50-502435153 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ ბუკიას 2024 წლის 16 დეკემბრის N50-502435153 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოჯახური პირობების გამო სხდომას ვერ ესწრებოდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. ლიპარტია, გამომდინარე აქედან წარმოდგენილ საკითხს წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (მ. ქარდავა) და სთხოვა მას ბიუროს წევრებისთვის გაეცნო დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: მ. ქარდავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 28595,0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 34336,4 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 76,6 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებები 76,6 ათასი ლარით, კერძოდ: 26,6 ათასი ლარით ქვეპროგრამის „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ხელშეწყობის ღონისძიებები“ ასიგნებები, აქედან: 26,6 ათასი ლარი ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივები“ ასიგნება. 50,0 ათასი ლარით პროგრამის ,,კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა“ ასიგნებები, აქედან: 50,0 ათასი ლარი ა(ა)იპ ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრი"-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,არაფინანსური აქტივები“ ასიგნება.

გამოთავისუფლებული 76,6 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,განათლება" ასიგნებებზე 76,6 ათასი ლარი, აქედან: 76,6 ათასი ლარი - პროგრამის ,,სკოლამდელი განათლების დაფინანსება" ასიგნებაზე, მათ შორის: 76,6 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება"-ს სუბსიდია, 66,0 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,პრემია-ჯილდო" ასიგნება და 10,6 ათასი ლარი - ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კვების ხარჯები" ასიგნება, საფუძველი: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის N07-502434878 მოხსენებითი ბარათი. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი – 0

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ი. ჯიშკარიანი)

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე